



N 17-1/10698  
25/10/2022

10698-17-1-2-202210251655



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,  
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

### რეკომენდაცია

*(შემუშავებულია და გვეზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)*

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოცემული I კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი გრიფინიჭებული სახელმძღვანელო საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“.<sup>1</sup>

სახალხო დამცველის აპარატის მიერ პროაქტიულად, საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ხსენებულ სახელმძღვანელოში არსებული ილუსტრაციები და თანხლებული ტექსტები ამკვიდრებს სტერეოტიპულ გენდერულ როლებს. ამდენად, იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო სტანდარტებსა და ამ მიმართებით სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

### ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანში გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების არსებობისას, სკოლა ვალდებულია, აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსით ისარგებლოს.<sup>2</sup>

2018 წლის პირველ აგვისტოს გრიფი მიენიჭა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის მოსწავლეთათვის გამოცემულ სახელმძღვანელოს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ბაკურ სულაკაური, მარინა ბედოშვილი, თინათინ კუხიანიძე „ქართული“ მოსწავლის წიგნი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თბილისი 2018; 2022 წლის 12 სექტემბრის 4551-22 მოხსენებითი ბარათი საქმისწარმოების ინიცირების თაობაზე.

<sup>2</sup> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 01 აგვისტოს N 56 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი;

ხსენებული სახელმძღვანელოს გრიფირებისას მოქმედი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოს მაკეტის რეცენზირების წესი საგნობრივი ჯგუფის წევრად „სხვა სპეციალისტს“ არ ითვალისწინებდა.<sup>4</sup> საგულისხმოა, რომ აღნიშნული მოწესრიგება კვლავ ძალაშია.<sup>5</sup>

ამ ვითარებაში, სახელმძღვანელოს მაკეტის შინაარსს უფლებრივი თვალსაზრისით, მათ შორის გენდერული თანასწორობის დაცვის ჭრილშიც, მასწავლებელი და ბავშვთა ფსიქოლოგი აფასებენ.<sup>6</sup>

აუცილებელია ითქვას, რომ „სხვა სპეციალისტები“ ჩართულობა უზრუნველყოფილია საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში.<sup>7</sup>

შესაფასებელ წიგნში მოცემულ ილუსტრაციებისა და თანდართული ტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სიუჟეტურად შესაძლებელი შემთხვევების აბსოლუტურ უმეტესობაში საოჯახო საქმეებით მხოლოდ ქალია დაკავებული და ბავშვს უმეტეს შემთხვევაში ქალი უვლის.<sup>8</sup>

## სამართლებრივი შეფასება

### ზოგადი პრინციპები

ზოგად განათლებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების ფუნდამენტური ნაწილია მოსწავლის ჩამოყალიბება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე თავისუფალ პიროვნებად და ამის მისაღწევად ყველა საჭირო პირობის შექმნა.<sup>9</sup> ამასთან, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სკოლამ მოსწავლეებს ადამიანის უფლებების

---

ბაკურ სულაკაური, მარინა ბედოშვილი, თინათინ კუხიანიძე „ქართული“ მოსწავლის წიგნი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თბილისი 2018.

<sup>4</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 30 სექტემბრის MES 6 22 0001196389 წერილი; „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1236 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 06 ივნისის N 198-ე ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>5</sup> „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის №1236 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 დეკემბრის MES 8 20 0001240590 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. [შემდგომში- რეცენზირების წესი]

<sup>6</sup> იქვე, დანართი N2, საგნობრივი ჯგუფის წევრთა ფუნქციური დატვირთვა.

<sup>7</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 01 აგვისტოს 17-1/7818 წინადადება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე“ გვ. 2

<sup>8</sup> ბაკურ სულაკაური, მარინა ბედოშვილი, თინათინ კუხიანიძე „ქართული“ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თბილისი 2018 გვ.12, 13, 14, 17, 23, 25, 26, 30, 33, 35, 37,38, 41, 103.

<sup>9</sup> ზოგადი განათლების შესახებ “საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი.

დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი უნდა გამოუმუშაოს, რომელსაც იგი გამოიყენებს პრაქტიკაში, საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად.<sup>10</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. [განათლება] საზოგადოებაში საღი აზრის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო გარანტიას განათლებული საზოგადოება წარმოადგენს, რომელმაც იცის თავისი უფლებები და მოვალეობები.“<sup>11</sup>

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციაში განმტკიცებული ბავშვის განათლების მიზნების მიღწევა მოითხოვს სასკოლო სახელმძღვანელოების სისტემურ გადახედვას.<sup>12</sup> გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ეს პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ შედეგად მიღებული „[...]სასწავლო მასალები შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს.“<sup>13</sup>

ზემოხსენებულთან ერთად, განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული.<sup>14</sup>

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდილი, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპების მხარდამჭერი, ადამიანის უფლებათა პატივისცემის სრულფასოვანი უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, საქართველოს ზოგადი განათლების მთელი სისტემის და არა ექსკლუზიურად რომელიმე საგნის მიზანია.

#### *გენდერული თანასწორობის დაცვა რეცენზირების წესის კონტექსტში*

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა რეგულარული გადახედვის გზით უნდა ჩამოაყალიბონ არამხოლოდ სტერეოტიპებისაგან თავისუფალი, არამედ ქალების მიმართ დაბალანსებული, ზუსტი და პოზიტიური ხედვის წამახალისებელი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები.<sup>15</sup>

ამ ლოგიკას ამყარებს რეცენზირების წესში ჩამოყალიბებული შესაბამისი კრიტერიუმის სიტყვასიტყვითი ანალიზიც, რომლის მიხედვითაც „[...]საგნობრივი სპეციფიკის

<sup>10</sup> „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილების „თ“ ქვეპუნქტი

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N 2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე, „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II 18

<sup>12</sup> UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, პარა. 3 ობ. <https://bit.ly/35oDnM8> 18/10/2022

<sup>13</sup> იქვე, პარა. 18.

<sup>14</sup> „Revised draft plan of action for the first phase (2005-2007) of the World Programme for Human Rights Education” adopted by UN General Assembly, 02 March 2005, პარა. 17 (a) ქვეპუნქტი.

<sup>15</sup> UN Committee on the Elimination of Discrimination against Women General recommendation No. 36 (2017) on the Right of Girls and Women to Education, 16 November 2017, C/GC/36, პარ. 27 (d) ქვეპუნქტი ობ. <https://bit.ly/2DmxINV> 18/10/2022

გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცულია თანასწორობა [მათ შორის] სქესის და სხვა ნიშნით.<sup>16</sup> მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ხსენებულ წესში დისკრიმინაციის აკრძალვის ნეგატიურად ფორმულირებული კრიტერიუმი, რომელიც მათ შორის სქესის და სხვა ნიშნით სტერეოტიპული შინაარსის მასალაში მოხვედრას კრძალავს, ცალკეა მოცემული, ხოლო ზემოხსენებული ციტატა დამოუკიდებელი ქვეკრიტერიუმის სახითაა წარმოდგენილი.<sup>17</sup>

საგულისხმოა, რომ არასტერეოტიპული გენდერული როლების სწავლებისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაც[შემდგომში: სტამბულის კონვენცია] შეიცავს.<sup>18</sup>

ამ ვალდებულების განმარტებისას ევროპის საბჭო მიუთითებს, რომ „დამოკიდებულებების, რწმენებისა და ქცევის ჩამოყალიბება ცხოვრების ძალიან ადრეულ ეტაპზე ხდება.“<sup>19</sup> ამდენად, ვალდებულების შესრულებისათვის გამოყენებული სასწავლო მასალები დაწყებითი სკოლის მოსწავლეებზე მორგებული უნდა იყოს.<sup>20</sup>

აღსანიშნავია, რომ სოციალური როლების გენდერული ნიშნით განაწილება, მაგალითად, ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვისა და ბავშვის მოვლის მიჩნევა, საქართველოში საკმაოდ ღრმადაა გავრცელებული.<sup>21</sup> ამავდროულად, სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ეს დამოკიდებულებები ერთ-ერთი განმსაზღვრელი გავლენის მქონეა ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალთა მობილობაზე.<sup>22</sup>

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სახელმძღვანელოს სასწავლო შინაარსი სახელმწიფოს მიერ „სტამბულის კონვენციისა“ და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების საშუალებაა. ამდენად, მასალის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ამ ინსტრუმენტების მოთხოვნებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შესაფასებელი სახელმძღვანელო ამკვიდრებს სტერეოტიპულ გენდერულ როლებს. ამდენად, იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო სტანდარტებსა და ამ მიმართებით სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

სახალხო დამცველი ასევე თვლის, რომ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში „სხვა სპეციალისტის“ არყოფნა

<sup>16</sup> რეცენზირების წესის დანართი N2, რეცენზენტთა ფუნქციური დატვირთვა.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ მიღებული 2011 წლის 11 მაისს საქართველოს მიმართ ძალაშია 2017 წლის 01 სექტემბრიდან. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი

<sup>19</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence Against Women and domestic violence adopted by the Council of Europe on May 11th 2011 პარა. 94. იხ. <https://bit.ly/3rZEqzf> 18/10/2022

<sup>20</sup> იქვე, პარა. 95.

<sup>21</sup> იაგო კაჭკაჭიშვილი, ხატია ნადარაია, „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ კვლევის ანგარიში, თბილისი 2014 გვ.5; იხ. <https://bit.ly/3yRcWj8> 18/10/2022 შეად. Gender stereotyping OHCHR and women’s human rights and gender equality OCHR იხ. <https://bit.ly/3VzRrNp> 18/10/2022.

<sup>22</sup> ანნა ილურიძე, თათია ვერულაშვილი „ქალები და მობილობა ქალთა ყოველდღიური გადაადგილების გენდერული ასპექტები“ კვლევის ანგარიში თბილისი 2021 გვ. 15, 24. იხ. <https://bit.ly/3CHn711> 18/10/2022

უკიდურესად პრობლემურია. ამ კონტექსტში განსაკუთრებითაა აღსანიშნავი საბაზო და საშუალო საფეხურის მასალების უფლებრივი გამართულობის უზრუნველსაყოფად, შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში „სხვა სპეციალისტთა“ ჩართულობის პოზიტიური გამოცდილება.<sup>23</sup>

კერძოდ, 2019 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ჩამოყალიბებული თანამშრომლობის შედეგად, სამინისტრო აპარატის მიერ ნომინირებულ ადამიანის უფლებათა ექსპერტებს „სხვა სპეციალისტის“ პოზიციაზე ნიშნავს.<sup>24</sup> აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, ერთი მხრივ სასკოლო სახელმძღვანელოთა შინაარსი გენდერულად მეტად დაბალანსებული გახდა ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ რეცენზენტთა შორისაც შემცირდა ნეგატიური განწყობები სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის წახალისებასთან მიმართებით.<sup>25</sup>

## დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შეფასებული სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციები და თანმდევი ტექსტები ამკვიდრებს სტერეოტიპულ გენდერულ როლებს. ამდენად, იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს, სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს და ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ გრიფირების წესის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საავტორო უფლების მფლობელთან შეთანხმებით, აქვს გრიფინიჭებული სახელმძღვანელოს განახლების ინიცირების უფლებამოსილება.<sup>26</sup> შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სახელმძღვანელოს შინაარსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია ამ ინსტრუმენტის გამოყენება.

ამავდროულად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოთა მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში „სხვა სპეციალისტი“-ს ჩართვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ

## რეკომენდაციით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

<sup>23</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 01 აგვისტოს 17-1/7818 წინადადება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე“ გვ. 1.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

- გრიფირების წესით დადგენილი წესით სახელმძღვანელოს განახლების გზით უზრუნველყავით სახელმძღვანელოს შინაარსის შეცვლა იმგვარად, რომ მასში დაცული იყოს გენდერული ბალანსი და თავიდან იქნეს არიდებული გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრება.
- „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის №1236 ბრძანებით დამტკიცებულ წესში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით უზრუნველყავით რეცენზენტთა საგნობრივ ჯგუფის წევრთა ჩამონათვალში „სხვა სპეციალისტის“ დამატება.
- რეცენზენტთა ფუნქციურ დატვირთვაში ცვლილების შეტანის გზით უზრუნველყოფილ იქნეს „სხვა სპეციალისტის“ მიერ უფლებრივ კრიტერიუმებზე მუშაობის შესაძლებლობა.<sup>27</sup>

გთხოვთ, ამ რეკომენდაციის განხილვის შედეგების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი



<sup>27</sup> თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა; ეთიკის ნორმების დაცვა; ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა; შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან; შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან